სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1141

დამატების № 201

კვირა, 16 მარტი 1914 წ.

F/3
F 7/3 ს 14545

# ...შო ზღაპრები

...კითხავ, მშობელო ჩემო,
...ო ჩვენი ცხოვრებისასა,
...ნდო სანუგეშმცემო
...რსული დიდებისასა.

...ა, დედავ, გულთბილად
...ნთქმულ ხალხზე თვის დევგმირობით,
... იგონებენ ხოლმე სულ-ტკბილად
...თეთრი კაცნი ნეტარის გრძნობით.
...ხარ ზღაპრები—ბოლო იმედი,—
...პრებში ბრწყინავს დიდება ჩვენი,
... მიგვიძღვოდა მღიმარი ბედი
... ნეტარებით დიოდნენ დღენი.
...და ადევნე თვალი შარა გზას,
...ოიშლება ურმების მწკრივი,
... ვპოვებთ ვინმე მოხუცებულ კაცს,
...მ ჭშვენის ხოლმე თმა ღვთაებრივი;
...დით მეურმეს, ურემზე შობილს,
...ემზედავე სიკვდილის მლოდნეს,
...ესალამოთ, ვით ძველის ძმობილს
... ძველისავე ამბების მცოდნეს.
...ვსვათ და ტკბილად ვაამბობინოთ
... განთქმულ ხალხზე თვის დევგმირობით,
...მ იგონებენ ხოლმე სალხინოთ
...ათეთრი კაცნი სიამის გრძნობით.

—

...ღამდა... ბნელმა ჩანთქა ტყე-ველნი,
...ცარიელდა მინდვრები, გზები,
...ოლოდ, გულისა გამწყალებელნი,
...მოთოვლილი მოსჩანან მთები.
...უზუნებს ქარი... გაშეშებულ ტყეს
...ეირ-აკანესებს და ამწუხარებს,
...ურში ჩასძახის: „გაწამებ, ვით ტყვეს,
...არ გაღირსებ ზაფხულის დარებს“.
...ა კვლავ ზუზუნებს, ზუზუნებს ქარი,
...შმაგებული აწყდება კარებს,
...ნ დაიკვნესებს, ვით მათხოვარი,
... ხან მეფურად გადიხარხარებს;
...ნ ... ვით ძველი მიცვალებული,
...ითამდგარი, კარს გვიკაკუნებს,
გვიხმობს: „შემიშვით დაობლებული,
საფლავში მცივა და მაძაბუნებს“...
ამ დროს ოცნება—საზრდო სულისა—
დღეის სენებით არ შეურაცხყო
და მიტხრ მხოლოდ გარდასულისა,
რომ დაივიწყო უბედო აწმყო.
მაგრამ ს... გესმის კვნესა ქარისა?..
გესმის გოდება გარეწარისა?..
„თავის ქვეყნიდან აყრილი ერი,
„დედამიწისა ზურგს მოდებული,
„დაძრწის, როგორაც ქარისგან მტვერი,
„თვის მიწა-წყალს და ბედს მოკლებული.
„მაგრამ ამაოდ: ვერსადა ჰპოვებს
„სამარის მიტგან საყუდელს წყნარსა,
„სადაც სამუდამოდ თან ჩაიყოლებს
„თავისი რწმენის ხატსა და ჯვარსა“.
ჩვენც ხომ ეკუთვნით იმ ხალხს, იმ ერსა,
ქვეყნიდან-ქვეყნად მოხეტიალეს,
ვინცა მოსწყვიტეს დღეს ბედნიერსა,
ვის კერაც ულვთოდ გაატიალეს?!

რაღაა ჩვენი ყოფა-ცხოვრება!
შიშით და კრძალვით ვატარებთ სულსა!
სადაც გვიძღვოდა წინ გამარჯვება,
იქ ეხლა მტერსაც ვგვრით სიბრალულსა.
ან რაღა გვეთის დღე-დათვლილებსა,
ან სად გვექნება სამარე ცივი,
სადაც უმწეოდ დახოცილებსა
ტლუდ დაგვიტირებს ყორანი ქვრივი?!..
მაგრამ ვუსმინოთ... ამ ცივს ღამეში
ჩვენს ბედში მყოფი ვინმე მოგვცემს ხმას,
შემოვიყვანოთ... სიმწუხარეში
მივეალერსოთ, ვით შვილსა და ძმას.
ეცოდინება ტკბილი ზღაპრები
ჩვენი წარსული არსებობისა,
თავისუფლების მეღდგარი ხმები...
დრო სიამაყის, ვაჟკაცობისა!
დავსვათ და ტკბილად ვაამბობინოთ
იმ განთქმული ხალხზე თვის დევგმირობით,
რომ იგონებენ ხოლმე სალხინოთ
თმა-თეთრი კაცნი სიამის გრძნობით.

ი. მჭედლიშვილი.



ქრისტეს ქადაგება.

# ლესია უკრაინკადა...

(უკრაინულით)

ღამე იყო ბნელი, წყნარი,
ჩემო ტურფავ! შენს წინ მდგარი
გიცქეროდი სევდით სავსე.
ღამე იყო ბნელი, წყნარი...

ბაღში ჰკვნესდა მძაფრი ქარი.
ჰმღეროდი, მე კი ჩუმად მჯდარი
შეგხაროდი ვულის ცემით.—
ბაღში სტიროდა მძაფრი ქარი...

აციმციმდა შორს ცისკარი.
სევდით ხშული გულის კარი
შუა გაჰყო გრძნობის ცეცხლმა.
აელვარდა შორს ცისკარი...

გ. ნამთრაძე.

# შეთქმული

I

საპყრობილეს დავესახლე, დავესახლე და დავები,
გლოვა არის ჩემი ყოფნა, არ მაცვია თუმც შავები.
განვეძარცვე, დრო წამერთვა, დრო და ჟამი მცირე დღისა;
დამრჩა მხოლოდ სულის ლტოლვა და წყურვილი ძიებისა.

მრქვა ჰერმესმა ხელგაპყრობით: „იყავ მონა! იყავ მონა"!..
ამისთანა ბედის წერამ დამამწუხრა, დამცლონა.

აღვასრულე მშობლის მრწამსი, მათნი წესნი ყველამ ვიცით;
აღვესრულე სიყვარულთან სიყვარულის მტკიცე ფიცით.
დედის წმინდა მოწოდებაც გადვიხადე სასურველად,—
მაშ დარაჯნი ჩამომშორდნენ, ნუ უდგანან ჩემს გზას მცველად!

ალქაჯები მეჯლისობენ, აჰყოლიან ცეკვა-ტრიალს. .
იცინიან... იცინიან!.. დასცინიან ჩემს ბედს ტიალს!

თუ აპოლონს მსხვერპლი უნდა, მსხვერპლსა მთხოვდა შესაწირსა?
რა შევწირო? რა გამაჩნდეს!—დავრდომილს და მონას მწირსა!
მებაღენო, მომიკრიფეთ მუნ წალკოტში ვარდი თეთრი!—
ვარდებს ვწირავ... თავდახრილსა „მონა ხარო"!—მესმა მკვეთრი.

ბრძოლის ცეცხლო, ჩამინელდი! ნუღარ მიმხელ წყურვილს
სულო!

უკვდავ იქმენ კაეშანო, არასოდეს აღესრულო!

II

ჰი რისთვის, თურმე რისთვის მეოცნებე დავიბადე,
რომ ოცნებით დამეწყვიტა მონობისა ხლართი ბადე.
წავებაძე ქართა ქროლას, დავნავარდობ დიდს სამყაროს;
სულო ჩემო, შენთვის... შენთვის უკვდავების ვეძებ წყაროს!

მაშ აღუთქვი სულს საუნჯე, ეხ, აღუთქვი გრძნობის ძაფო!
სიცხადეს კი ნეტავ როდის, ნეტავ როდის დაეწაფო!

[illegible]ეცნიერნო, მაცოდინეთ მიწის სიბრძნე, გამოცანა!
შემომწყვიტეთ მონის ბადე, მოიმარჯვეთ მჭრელი დანა!
[illegible]უვლი დედა-მიწას, შემოუვლი ფერხულს დიადს!
[illegible]ლდი აზროვნებავ! განეშორე სულო წყვდიადს!

დავადხ[illegible] თურმე... თურმე ალქაჯები ეშმაკობენ,—
ჩემს [illegible]ურვილს და წმინდა აღთქმას დასცინიან, დამიგმობენ.

მაშ მე თითონ უნდა ვიხსნა, უნდა ვიხსნა თავი თვისი?
მაშ აღსრულდეს იგი მცნება, იგი მცნება ღაღადისი.
განემზადეთ ბრძოლისათვის, აირჩიეთ საწირავი;
წილი მე მხვდა, მე ამიყვათ სამსხვერპლოზე—დამდეთ კრავი...

ესე შევხვდეთ, სულო, სიკვდილს და სინათლეს ამომავალს.
ბრძოლის ცეცხლი დაუტოვოთ ჩვენს ღირსეულს შთამომავალს.

**ბაბილინა.**

***

(შევჩენკო).

გადიან დღენი, ჰრბიან ღამენი,
განვლო ზაფხულმა შეუმჩნევლად,
დასჭკნენ ფოთლები და ქარიშხალი
მათ ცივ შრიალით ჰფანტავს ტყე-ველად.
თვალებში ჩაჰქრა ცეცხლი მგზნებარე,
ფიქრთ დაიძინეს, დაყუჩდა გული;
არ ვიცი სულო!—შენც კვალად სცოცხლობდნენ.
თუ შენც მკვდარი ხარ, შენც გაყინული?!—
ცრემლები დაშრა, დაშრა სიცილი,
გულგრილად შევცქერ ქვეყნისა ბრუნვას;
სად ხარ სიამევ?—მაგრამ ეჰ! ჩემთვის
მხოლოდ სცალიან კვნესას და ჰმუნვას!..

და თუ მაღალ სვედ მე არა ვღირვარ,
რისთვის შეჰშურდა ჩემთვის განგებას
ამო რამ ბედი?—ოღონდ ბედი კი
რომ წუთით მაინც შევყროდი შვებას?!

—

ნუ, ნუ ისურვებ ჰე ბედის წერავ,
რომ გაშრეს გული—ამოიწუროს;
ნუ, ნუ დამტოვებ ცხოვრების გზაზე
ვით შეუმჩნეველ კუნძსა ფუტუროს!—
ცათა მფლობელო!—მომეც სიცოცხლე,
მომეც სიწრფელე და სათნოება,—
რომ შევიყვარო მოყვასი ჩემი
და ვსძლიო ქვეყნის ამაოება!..

—

მარად ტყვეობა ძნელ-გასაძლოა
და საშინელი როგორც სიკვდილი,
მაგრამ უფროერე საშინელია
განცხრომით ყოფნა და მშვიდი ძილი!—
ძნელია, განვლო ცხოვრება ისე
რომ უკან კვალი არ აღიბეჭდოს,—
ამგვარსა ყოფნას, არ ყოფნის დარსა
სჯობს რომ სიკვდილი გულს გადაგეჭდოს!..

—

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

...და თუ მაღალ სვედ მე არა ვღირვარ,
რისთვის შეჰშურდა ჩემთვის განგებას
ამო რამ ბედი?—ოღონდ ბედი კი,
რომ წუთით მაინც შევყროდი შვებას?!.

**ხ. ფაშალიშვილი.**

# ბარათები

**შესავალი**

მერწმუნეთ, არა პირფერობის, ფარისევლობის,—
ეს ბარათები ნაყოფია მხოლოდ წრფელ გრძნობის!
ვწერ მას, რაც იყო და რასაც კვლავ განიცდის სული;
რასაც, ვის მიმართ, გრძნობდა; კვლავაც გრძნობს ჩემი გული;
და, ვისაცა ვწერ, არ ვუგზავნი მათ ამ წერილებს;
ვწერ და ეს წერა მხოლოდ მევე მაკმაყოფილებს!
სახელებია მხოლოდ ზოგან ცოტა შეცვლილი,
რომ, თუ ნახავს ის, ვისიცაა მართლა წერილი,
ისი მოიქცეს, როგორადაც თვით მოისურვებს:
სურს, სცნობს თავისად და, თუ არა—ყურს მოიყრუებს;
მე-კი წარსულის ჩემის სულაც არა მრცხვენია,—
ის წმინდა გრძნობით და სურვილთა მხოლოდ მჩენია!..

**1 ანიკოს**

იყო დრო, ჩემო ძვირფასო, დაუვიწყარო ანიკო,
რომ შენზე უახლოვესი ჩემთვის არავინ არ იყო:
შენ ჩემი დედაც იყავი, დაც, მეგობარიც სიყრმისა,
თანასწორი თანაზიარი ჩემის ჭირის და ლხინისა;
მაგრამ ახლა-კი ერთმანეთს იმდენად დავშორებივართ,
რომ თითქო ნაცნობებიცა აროდეს არა ვყოფილვართ!

ასეა ჩვენი ცხოვრება: დღეს ახლოსა ვართ, ხვალ შორსა;
ვერავინ შესცვლის ადვილად სოფლის წესსა და კანონსა!
არამც თუ გნახო, ბარათიც შენთვის ვერ მომიწერია,—
აბა, რას ეტყვი, რომ მკითხონ გარს მყოფთა: „ვინ ოხერია,
რომ ასე დაახლოვებით და გრძნობით იწერებაო?
ვინ არის, რა გაქვთ საერთო, რა ნათესავად გხვდებაო?"..
მაშ, თუ არა გვსურს, რომ გავხდეთ საგნად ენების ჭორის,
უნდა ყოველი ერთობა შესწყდეს სამუდმოდ ჩვენ შორის!
და აკი შეწყდა კიდევაც? აგერ რამდენი ხანია,
არ მინახავხარ და შენი ამბავიც აღარ მსმენია!
გავიგე მხოლოდ, გათხოვდი და ერთი ქალიშვილიც გყავს...
ოჰ, რა თქმა უნდა, რომ ისიც მთელის არსებით შენა გგავს:
შენებრ წმინდაა, უმანკო; შენებრი სათნო, კეთილი;
შენებრ უბრალო, გულღია; შენებრ გულწრფელი, გულჩვილი!
ნეტავი იმას, ბედნიერს! სხვებსაც, შენს ახლოს მყოფებსა,
ვისაც ჰფენ მადლსა სიკეთის, როგორც მზე თავის სხივებსა,
და მე-კი ის-ღა მშთენია, რომ გიგონებდე ოცნებით
და შენთან ყოფნით ვხარობდე მხოლოდ ფიქრით და გონებით!
როს, უცხოთ შორის მარტოდ მყოფს, გულს სევდა შემო-
მაწვება
და არვინ არის, გავანდო ტანჯულის სულის კვეთება,
მაშინ მეხატვი შენ თვალ-წინ და შენი ტკბილი ღიმილი
მამხნევებს ჩვეულებრივად, წრფელ თანაგრძნობით აღვსილი,
და კვლავ მრწამს, მხეცი-კი არა, კაცია ადამიანი,
მოყვსისთვის თავდადებაა ჩვენი სიცოცხლის მიზანი!..



გაზ. „ფიგაროს“ რედაქტორი კალმეტი.



საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი კაიო



ქ-ნი კაიო, რომელმაც მოჰკლა „ფიგაროს“ რედაქტორი კალმეტი.

შენ?.. შენც მიგონებ, ძვირფასო, თუ მიმეც დავიწყებასა?
ან, თუ გახსოვარ, რასა გრძნობ: სიამეს, თუ მწვავ წყენასა?..
ოჰ, გვედრი, არ მიაწერო, ოდონდაც ჩემს უგრძნობლობას,
რომ, ვაისარამც თუ ვერ გიხდი, ვერც გეუბნები მადლობას!..

## 2 ეკას

როცა რწმენა დამეკარგა, აღარ მქონდა არც იმედი
და მეგონა, სამუდამოდ დახშულია ჩემი ბედი;
როს ცხრამეტის წლის ჭაბუკი უკვე მოხუცს დაედარე
და თითქმის რომ არ შრებოდა ჩემ თვალებზე ცრემლი ცხარე;
როს საკითხი ყოფნ-არყოფნის წინ დამიდგა ლონე მიხდილს
და ის იყო, რომ რგებოდა გამარჯვება უნდა სიკვდილს,
მაშინ უცებ ჩემ ბნელ ცაზე გამობრწყინდი, ვით ვარსკვლავი,
შენ და ისევ გამაცოცხლე, მომაბრუნე მომაკვდავი!
მითხრეს: „ეკას უყვარხარო“, და მეც, როგორც დაგინახე,
იმ წამს გულში ჩამებეჭდა მშვენიერი შენი სახე;
მოვიხიბლე, დაგემონე, შენს სიტურფეს ვეც თაყვანი;
დამავიწყდა, რაც ვიტანჯე; გამითენდა დღე, მზიანი;
სიყვარულმა აღმაფრთოვნა: კვლავ ავიღე ხელში ქნარი
და მოგიძღვენ ქებათ-ქება, გულის სიღრმით აღმომხდარი!
ეჰ, რა ვუყოთ, რომ შენ თურმე ჩვეულებრივ თვალთმაქცობდი
და ჩემთანაც, როგორც სხვებთან, თამაშობდი, კეკლუცობდი;
რომ მიწიერს არ გესმოდა ზეციური სიყვარული
და მდაბალის მისწრაფებით იყავ მხოლოდ გამსჭვალული?..
მე გეტრფოდი; სიყვარულის მწვავ ტკბილ ცეცხლით შევიწოდი
და მე რა, თუ შენ ჩემ წმინდა გრძნობას მხოლოდ დასცინოდი?
მე ხომ შენმა სიყვარულმა დამიბრუნა კვლავ ძალ-ღონე
და მე რა, თუ შენ ის სულაც არ იყავი, რაც მეგონე?..
განა მთელი ეს ქვეყანა თვისს მრავალფერ შვენებითა
აგრე ტურფად არ შექმნილა ჩვენისავე ოცნებითა?
და, სნეული თუ მორჩება, საყვედურს ვინ ეტყვის მკურნალს,
რომ ხმარობდა ძვირფას წამლის მაგიერად უბრალო წყალს?
რა ხანია, სთქვა მგოსანმა: „ათას მდაბალს სიმართლესო
ვირჩევნია ჩვენ სიცრუე, რომ გვაფართოვნებს, გვამაღლებსო“!
მეც სრულიად არ გემდური, რომ მოვტყუვდი მაშინ შენში
[...] მუდამ ტკბილ მოსაგონრად მექნება ჩემ სიცოცხლეში
[...] დრო, როცა ვგრძნობდი პირველ სიყვარულით გატაცებას,
[...]ზეკაცდი, მივეახლე თვით ზეციურ ნეტარებას;
[...]ცა მონა მეფედ ვიქმენ და უძლური გმირთ გმირადა
[...]მარადის ვუგალობდი და ვამკობდი, ვინც მიყვარდა,—
[...]ფა ეკას *), ოცნებითა ანგელოზად გარდაქმნილსა,
[...]საბრალო მუნჯისათვის **) მხსნელ-მფარველად მოვლენილსა!

*) „ეკა“ და „მუნჯია“—ჩემი მოთხრობის გმირებია (წიგნი II მოთ[...]ბი).

მართალია, რომ ოცნება მალე გაჰქრა, ვით სიზმარი:
შენ უმტყუნე შენს **მუნჯიას**,—მის წრფელ გრძნობას ხელი ჰკარი;
მაგრამ გახა ამით მგოსნის აღფრთოვნებას რამ დააკლდა?
არა! უფროც გაცხოველდა, გაცისკროვნდა და ამაღლდა!
სიყვარულიც, ერთხელ გულში აღგზნებული, არ ჩამქრალა,—
უკვდავ სიტურფ-სიკეთისა ტრფიალებად შეიცვალა!

## 3 მარ[...]

ბავშვი ბავშს შეგხვდი. შენ იყავი ბატონის შვილი,
მე-კი ობოლი, მიღებული თქვენსა სამადლოდ;
შენ, ნებიერსა, გარს გეხვია ალერსი, ტკბილი,
მე-კი, ვიღაცა ვიგინდარას, მითმენდნენ მხოლოდ;
მაგრამ ბავშვები არ მისდევენ დიდ-პატარობას,—
არ თაკილობდი არც შენ ჩემთან თამაშ-ცელქობას!
რა შეედრება იმ ზეალმ-ტაც სიამოვნებას,
როცა საზღვარი არა ჰქონდა ჩემს აღფრთოვნებას,
რომ ვისაც ზღაპრულ ხელმწიფისა ქალად ვსახავდი,
ჩემთან, უბრალო მომაკვდავთან, მყოფსა ვხედავდი?!
მაგრამ დიდხანს ის ნეტარება ვერ გრძელდებოდა:
ჩვენ გვაშორებდნენ და ოცნება მხოლოდ მრჩებოდა!
მაშინ პირველად აღიძრა ჩემს გულში სურვილი,
რომ გავმხდარიყავ ღირსეული მამულიშვილი
და შემძლებოდა, როცა შემდეგ კვლავ შეგხვდებოდი,
თამამად გვერდით, ვით სწორის სწორის, ამოგდგომოდი!
განვლო დრომ მივსწვდი მე საწადელსა
და, როცა შევხვდით კვლავ ერთმანეთსა:
შენ, ახლად შლილი ტურფა ყვავილი,
და მე, მგოსანი, უკვე ცნობილი,
შევხვდით, ვით ძველი ჩვენ მეგობრები,
ამხანაგები, თანასწორები!
ის იყო, ერთხელ მოტყუებული,
თვისს იდეალს კვლავ ეძებდა გული
და, რა თქმა უნდა, როცა გნახავდი,
ამ იდეალად შენ დაგსახავდი;
შენ, ვისაც ისევ ბავშვი გეტრფოდი,
ვის მოგონებით მუდამ ვსტკბებოდი!
მართლაც გნახე და დაგსახე შენ ჩემ ნანატრ იდეალად,
თამარის და ქეთევანის ღირს მემკვიდრე ქართველ ქალად,
და, რაც წმინდა იყო ჩემთვის, ყველა შენში შევაერთე;
მთელის ჩემის არსებითა შეგიყვარი, გაგაღმერთე...
არა, არა! ჩვეულებრივს არ ჰგავდა ის სიყვარული;
სულ სხვა გვარის გრძნობ[...] იყო ჩემი გული გამსჭვალული:

მე მი...ოდა, მტკიცე რწმენა, რომ მიზანი გვქონდა ერთი,
ყოფილიყო საუკუნოდ მხოლოდ ჩვენი შემაერთი;
მე მწყუროდა, რომ გვრგებოდა ჩვენ სიცოცხლე სასახელო
და გვყოლოდა მადლიერი მარად მთელი საქართველო!

დიდხანს, დიდხანს ეს წყურვილი სულსა და გულს მიფრთოვ-
ნებდა
და წყვდიადით გარემოცულს ცხოვრების გზას მინათებდა;
დიდხანს, დიდხანს საიდუმლოდ ვინახავდი მე ჩემ გრძნობას
და მეგონა, ვიპოვიდი შენშიც სრულსა თანაგრძნობას;
მაგრამ თურმე ერთხელ კიდევ უნდა მოვტყუებულიყავ!—
მგონანი რომ ოცნებობდა, ის რჩეული არც შენ იყავ!

ის რჩეული არ იყავი, მაგრამ მაინც საყვედური
ჩემგან სულაც არ გერგება და, იცოდე, არც გემდური,
რადგან, თუ რომ ჩემის ხვედრით მე არ ვკმაყოფილდებოდი
და უკეთეს მომავლისკენ ბავშობითვე ვისწრაფოდი,
უფრო მისთვის, რომ მინდოდა, შენი ღირსი გავმხდარიყავ,
ყრმობისა და ჭაბუკობის ოცნებაო, ჩემო წმინდავ!..

### 4 ტასოს

რაც თავი მახსოვს, ჩემი ცხოვრება
განუწყვეტელი იყო ძიება
მოხეტიალის ობლად სულისა
წრფელ თანაგრძნობა-სიყვარულისა!

ბევრჯელ მოხიბლულს ტურფა არსებით,
ტყვექმნილს გარეგან მშვენიერებით,
მიფიქრია, რომ მივსწვდი მიზანსა,
შევხვდი ტრფობისა ჩემის საგანსა
და სიყვარულით გული მგზნებია,
მაგრამ იმედი გამცრუებია!

ასე მისდევდა თვეს თვე, წელს წელი;
უკვე სიბერემ დამრია ხელი
და შევურიგდი მე მარტოობას,
სულის ობლობას, უთვისტომობას,
რომ, შენის ნიჭით გაოცებულმა
და ნაწერებით აღფრთოვნებულმა,
ვსთქვი: „აი სწორედ, ვისაც ვნატრობდი,
ვიზედაც მარად მე ვოცნებობდი“,
და, თუმცა არც-კი მყავდი ნახული,
კვლავ სიყვარულით აძგერდა გული!..

თურმე ბედმა შენც, ჩემსავით, ბევრი ცრემლი გაფრე...
თურმე ობლად მგრძნობითათვის მათ შორის, ვინც გარს გ...
რა ხანია, შენც ეძებდი გარეშემო თანაგრძნობას,
მაგრამ, ვაი, ჰპოულობდი ნაცვლად მხოლოდ შურს დ მტრობას...

ამიტომაც, როგორც შევხვდით, იმ წამს იცნო გულმა-გული...
გრძნობამ გრძნობა გამოიხმო, სიყვარულმა სიყვარული
და მას აქეთ იგი გრძნობა არ დამცხრალა, ვერც დასცხრება,—
უკვდავია და უძლევი ნათესავ სულთ ტრფიალება!..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

1913 წ. ქ ერევანი.

დუტუ-მეგრელი.




„ზაქ. რიჩის“ დევ-გმირები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, ...სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.